

**ოსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**  
**სასწავლო კურსის სილაბუსი**

სასწავლო კურსის დასახელება	გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლები/ Foundations of the Germanic Philology
სასწავლო კურსის (მოდულის) კოდი	--
სასწავლო კურსის სტატუსი	არჩევითი კურსი ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის სავალდებულო კურსი სკანდინავიური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის
ECTS	5 კრედიტი (125 საათი) საღეჭიო – 15 სთ  სემინარი – 15 (მათ შორის შუალედური გამოცდის ჩატარების – 2 სთ)  შუალედური გამოცდისთვის მომზადება – 8  საბოლოო გამოცდისთვის მომზადება – 9  საბოლოო გამოცდის ჩაბარება – 3 სთ.  ღეჭილი-სემინარებისთვის და პრეზენტაციისათვის მომზადება – 73 სთ.
ღეჭილი (ღეჭილი)	ასოცირებული პროფესორი თინათინ მარგალიტაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ინგლისური ფილოლოგიის მიმართულება, ლექსიკოგრაფიული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი საკონტაქტო ინფორმაცია:  ტელ: 0790 269555 (სამს) 0790 262525 (ბინა) ელ. ფოსტა: <a href="mailto:tinatin@margaliti.ge">tinatin@margaliti.ge</a>  ინფორმაცია კონსულტაციის შესახებ: ოსუ, მეხუთე კორპუსი, ლექსიკოგრაფიული ცენტრი ( ოთახი 301)
სასწავლო კურსის მიზნები	სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს გააცნოს გერმანიკული ენების საერთო ლინგვისტური ნიშნები ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და ლექსიკურ დონეებზე და მოამზადოს ისინი დარგობრივი ენების ისტორიის კურსების მოსასმენად. გარდა ამისა, მისცეს სტუდენტებს ზოგადი და საფუძვლიანი ცოდნა ინდოევროპულ ენათა ოჯახის გერმანიკული შტოს შესახებ; ენათა ნათესაობის, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შესახებ; გერმანელი ტომებისა და მათი როლის შესახებ ევროპის ისტორიაში.

სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	სასწავლო კურსს შესწავლის წინაპირობები არ გააჩნია.
სასწავლო კურსის ფორმატი	ლექცია/სემინარი (15+15), შუალედური შემოწმება (2), პრეზენტაცია (1).
სასწავლო კურსის შინაარსი	იხ. დანართი 1.
შეფასება	<p><b>1. ლექცია-სემინარებზე დასწრება 10 ქულა</b>  <b>2. შუალედური შემოწმება (2) 30 ქულა</b>  (ტარდება 2 წერიტი შუალედური შემოწმება. თითოეული შუალედური წერა ფასდება 15 ქულით. წერაზე სტუდენტს ეძლევა თეორიული საკითხი (250 სიტყვა) და კითხვარზე პასუხი. თეორიული საკითხი ფასდება 8 ქულით, კითხვარზე პასუხი - 7 ქულით (7 კითხვა, თითო კითხვა - 1 ქულა); <b>7-8 ქულა:</b> პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა; <b>5-6 ქულა:</b> პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი კარგად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის დაშვებული; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა; <b>3-4 ქულა:</b> პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ დაშვებული აქვს შეცდომები; <b>0 ქულა:</b> პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა არ არის გადმოცემული, დაშვებულია არსებითი შეცდომები).</p> <p><b>3. სემინარი-პრეზენტაცია 20 ქულა</b>  (სტუდენტმა უნდა ჩააბაროს 5 თემა, თითოეული ფასდება 3 ქულით. სტუდენტის შეფასებისას მნიშვნელობა ექცევა საკითხის ცოდნას, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის დამუშავებას, საკითხის გადმოცემის უნარს, მეტყველების კულტურას, ანალიზისა და სინთეზის უნარს. ამასთან ერთად სტუდენტმა უნდა მოამზადოს ერთი პრეზენტაცია შეთავაზებული თემატიკიდან, რომელიც შეფასდება 5 ქულით).</p> <p><b>4. საბოლოო გამოცდა 40 ქულა (წერა)</b>  (სტუდენტს ეძლევა 2 თეორიული საკითხი (350 სიტყვა) და კითხვარი. თითოეული საკითხი ფასდება 15 ქულით, კითხვარი კი 10 ქულით (10 კითხვა, თითო კითხვა - 1 ქულა). <b>14-15 ქულა:</b> პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და</p>

	<p>საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა; <b>12-13 ქულა:</b> პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა; <b>10-11 ქულა:</b> პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ დაშვებული აქვს შეცდომები; <b>8-9 ქულა:</b> პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღნიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა).</p> <p>სტუდენტის შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ფაქტობრივი მასალის ფლობას, არამედ მასალის კრიტიკული ანალიზის უნარს.</p> <p>საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: 20 ქულა</p>
სავალდებულო ლიტერატურა	<p>1. თ. მარგალიტაძე, „გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლები“ ელექტრონული სალექციო კურსი სტუდენტებისათვის. თბილისი, 2009 წ. <a href="http://Margaliti.com">Margaliti.com</a></p> <p>2. Algeo, John. <i>The Origins and Development of the English Language</i>. Wadsworth: Cengage Learning. 2010. (სტუდენტებს მიეწოდება ელექტრონული სახით)</p> <p>ელექტრონულ სალექციო კურსში განთავსებულია დამატებითი საკითხავი მასალა სტუდენტებისათვის</p>
დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა	<p>Rauch, G.F. Carr  Insights in Germanic Linguistics. New York, 1995;  R.L. Trask. Historical Linguistics. Oxford University Press. 1996.  მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია ლექსიკოგრაფიული ცენტრისა და ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების ბიბლიოთეკებში</p>
სწავლის შედეგები	<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b>  ამ კურსის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს:</p> <p>გერმანიკული ფილოლოგიის, როგორც დარგის, ფართო აღქმა, აღნიშნული დარგის კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.  აღნიშნული მოიცავს: ზოგად ცოდნას ინდოევროპულ ენათა ოჯახის გერმანიკული შტოს შესახებ; ენათა ნათესაობის, ისტორიულ-</p>

	<p>შედარებითი მეთოდის შესახებ; გერმანელი ტომებისა და მათი როლის შესახებ ევროპის ისტორიაში; გერმანიკული ენების საერთო ლინგვისტური ნიშნების შესახებ.</p> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- გერმანიკული ფილოლოგიის საფუძვლების შესწავლა სტუდენტს უვითარებს მონათესავე ენების ფაქტებზე დაკვირვების პრაქტიკულ უნარს, აჩვენებს სხვადასხვა ენობრივ დონეებზე მონათესავე ენათა შორის არსებული მსგავსებების აღმოჩენას.</li> <li>- სტუდენტი ასევე ეჩვევა პრაქტიკული ხასიათის პროექტზე მუშაობას გერმანიკულ ენებთან დაკავშირებული პრობლემატიკის ფარგლებში, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.</li> </ul> <p><b>დასკვნის უნარი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- გერმანიკული ფილოლოგიის კონკრეტულ საკითხზე მასალებისა და მონაცემების შეგროვების, გააზრების, სისტემატიზაციისა და მათ საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;</li> <li>- გერმანიკული ფილოლოგიის სფეროში დასამუშავებლად მიცემული მასალის ლოგიკურად ჩამოყალიბებისა და მისაღები ფორმულირებით გადმოცემის უნარი.</li> </ul> <p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- გერმანიკულ ენებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება და/ან მისი ზეპირად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებით.</li> </ul> <p><b>სწავლის უნარი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი. გერმანიკული ფილოლოგიის კონტექსტში საკუთარი ცოდნის შეფასების და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი.</li> </ul> <p><b>ღირებულებები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>- სტუდენტს აქვს ტოლერანტული დამოკიდებულება განსხვავებული მოსაზრებების მიმართ. სადავო საკითხებზე მსჯელობისას შეუძლია საკუთარი აზრის გამოხატვა და აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვა.</li> </ul>
სწავლებისა და	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს: 15 ინტერაქტიული ლექცია

სწავლის მეთოდები	(დასწრება ლექცია-სემინარებზე ფასდება 10 ქულით), სემინარი/პრეზენტაცია (ფასდება 20 ქულით), 2 შუალედური შემოწმება (30 ქულა). ლექციასა და სამუშაო ჯგუფში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ახსნა-განმარტების, დისკუსიის, დემონსტრირების, სტუდენტის ფონისეული ცოდნის აქტივაციის, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების. აღნიშნული მეთოდების გამოყენება თავისთავად გულისხმობს ანალიზისა და სინთეზის, დედუქციისა და ინდუქციის სტრატეგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში ჩართულია ელექტრონული სასწავლო კურსები / მასალები.
სასწავლო კურსის გავლასთან დაკავშირებული დამატებითი პირობები	ინტერნეტისა და კომპიუტერის საბაზისო ცნებებისა და პროგრამების ცოდნა

## დანართი 1

### სასწავლო კურსის შინაარსი

N	ლექციის/სემინარის თემა	ლიტერატურა (შესაბამისი გვერდების მითითებით)
1, 2	<p><b>ლექცია/სემინარი – ინდოევროპულ ენათა ოჯახი და ენათა ნათესაობა.</b></p> <p>ენათა დაჯგუფების გენეალოგიური პრინციპი. ინდოევროპულ ენათა ოჯახის შტოები: ინდური, ირანული, ბერძნული, ალბანური, სლავური, ბალტიკური, რომანული, კელტური, გერმანიკული და ა.შ.</p> <p>გერმანიკული ენების ჯგუფი: აღმოსავლურ გერმანიკული, ჩრდილოურ გერმანიკული და დასავლურ გერმანიკული ენები.</p> <p>გერმანიკული ენების გავრცელება თანამედროვე მსოფლიოში – სახელმწიფოები, სადაც თანამედროვე გერმანიკულ ენებზე ლაპარაკობენ.</p> <p>ინდოევროპულ ენათა ოჯახის შტოების მიმოხილვა.</p>	<p>ელექტრონული სალექციო კურსი: ლექცია 1 <a href="http://www.margaliti.com">www.margaliti.com</a></p> <p>Algeo, John. <i>The Origins and Development of the English Language</i>. თავი 4, გვ. 55-62</p>
3	<p><b>ლექცია /სემინარი – ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება და ისტორიულ-შედარებითი მეთოდი.</b></p> <p>ფილოლოგიის, როგორც მეცნიერების ცალკე დარგის აღმოცენება. ანტიკური ფილოლოგია. მეცნიერული გერმანისტიკისა და ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შექმნა XIX ს-ის დასაწყისში. გერმანელი ლინგვისტი – ფრანც ბოპი და დანიელი ენათმეცნიერი რასმუს რასკი – ისტორიულ-შედარებითი მეთოდის ფუძემდებლები.</p>	<p>ელექტრონული სალექციო კურსი: ლექცია 2 <a href="http://www.margaliti.com">www.margaliti.com</a></p> <p>Algeo, John. <i>The Origins and Development of the English Language</i>. თავი 4, გვ. 63-67</p>

	<p>ისტორიულ-შედარებითი მეთოდის აღმოცენების წინაპირობები. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის რაობა. კანონზომიერი შესატყვისობები ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და ლექსიკურ დონეებზე. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენება არქექტივის ანუ პროტოფორმების რეკონსტრუქციის დროს.</p>	
4, 5	<p><b>ლექცია /სემინარი – გერმანელ ტომთა ისტორია.</b>  გერმანელ ტომთა კლასიფიკაცია. ვინდილების, ინგვეონების, ისკვეონების, ჰერმინონებისა და ჰილვეიონების განსახლების ადგილი ცენტრალურ ევროპაში, ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქამდე. პირველი ცნობები გერმანელი ტომების შესახებ. პლუტარქე, სტრაბონი, იულიუს კეისარი, პლინიუს უფროსი, კორნელიუს ტაციტუსი და სხვები გერმანელი ტომების შესახებ. გერმანელ ტომთა ადათ-წესები, ზნე-ჩვეულებები, რელიგიური შეხედულებები. ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქა (ჩვ. წ. IV – VII სს).  გერმანელი ტომების შეჭრა დასავლეთ რომის იმპერიის ტერიტორიაზე, მისი დამხობა და ე.წ. ბარბაროსული სამეფოების წარმოქმნა. ანგლების, საქსებისა და იუტების მიგრაცია ბრიტანეთის კუნძულებზე და ჰეპტარქიის დაარსება. ფრანკების სამეფოს მოკლე ისტორია. მეროვინგების დინასტია. კაროლინგების დინასტია. კარლოს დიდი. “კაროლინგური აღორძინება”. ვერდენის ხელშეკრულება (843წ.) და კარლოს დიდის იმპერიის დაშლა სამ სახელმწიფოდ: გერმანიად, საფრანგეთად და იტალიად.  აღმოსავლეთ გერმანელი ტომების გოთების, ვანდალებისა და ბურგუნდების მიგრაციები ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქაში.</p>	<p>ელექტრონული სალექციო კურსი: ლექცია 3  <a href="http://www.margaliti.com">www.margaliti.com</a>  მე-3 ლექციისათვის დართული დამატებითი საკითხავი მასალა</p>
6	<p><b>ლექცია /სემინარი – გერმანიკული დამწერლობის ისტორია.</b>  რუნიკული ანბანი. მისი თავისებურებები. რუნიკული ანბანის სახესხვაობები. რუნიკული ანბანის წარმოშობა. სხვადასხვა თეორიები რუნიკული ანბანის წარმოშობის შესახებ. გოთური ანბანი. მისი თავისებურებები. გოთური ანბანის წარმოშობის წყაროები. ლათინური ანბანი. მისი სახესხვაობები. მინუსკულუსი – ლათინური ანბანის სახესხვაობა, რომელსაც გერმანელი ტომები იყენებდნენ.</p>	<p>ელექტრონული სალექციო კურსი: ლექცია 4  <a href="http://www.margaliti.com">www.margaliti.com</a>  Algeo, John. <i>The Origins and Development of the English Language</i>.  თავი 3, გვ. 40-41</p>
7	<p><b>ლექცია /სემინარი – თანხმოვანთა დიდი გადაწევა / გრიმის კანონი.</b>  ინდოევროპული ხშული თანხმოვნების გადაწევა გერმანიკულ ენებში, გრიმის კანონი</p>	<p>ელექტრონული სალექციო კურსი: ლექცია 6  <a href="http://www.margaliti.com">www.margaliti.com</a>  Algeo, John. <i>The Origins and</i></p>

	(ტრადიციული თვალსაზრისი). ვერნერის კანონი.	<i>Development of the English Language.</i> თავი 4, გვ. 69-73
8	<b>ლექცია /სემინარი– თანხმომავანთა მეორე ზემოგერმანული გადაწევა.</b> ხშილი თანხმომავანების რიგების შემდგომი გადაწევა ძველ ზემოგერმანულში. თანხმომავანთა მეორე ზემოგერმანული გადაწევის შედეგად წარმოქმნილი კანონზომიერი შესატყვისობები ფონოლოგიურ დონეზე თანამედროვე გერმანულსა და სხვა გერმანიკულ ენებს შორის.	ელექტრონული სალექციო კურსი: ლექცია 6 <a href="http://www.margaliti.com">www.margaliti.com</a>  <i>Algeo, John. The Origins and Development of the English Language.</i> თავი 4, გვ. 74-76
9	<b>ლექცია/სემინარი – გერმანიკული მახვილი. გერმანიკული მახვილის ძირითადი თავისებურებანი:</b> დინამიკურობა და ფიქსირებულობა სიტყვის პირველ მარცვალზე. გერმანიკული მახვილის შედეგად განვითარებული ფონეტიკური რედუქციის პროცესი და მისი შედეგები სხვადასხვა გერმანიკულ ენებში. გერმანიკული ენების საერთო ლინგვისტური ნიშნები ფონოლოგიურ დონეზე. თანხმომავანთა I და II გადაწევის შედეგად წარმოქმნილი ბგერათშესატყვისობები, ერთის მხრივ გერმანიკულ ენებსა და სხვა ინდოევროპულ ენებს შორის, მეორეს მხრივ კი გერმანულ ენასა და სხვა გერმანიკულ ენებს შორის.	ელექტრონული სალექციო კურსი: ლექცია 5 <a href="http://www.margaliti.com">www.margaliti.com</a>
<b>შუალედური შემოწმება</b>		
10, 11	<b>ლექცია /სემინარი – ზმნა გერმანიკულ ენებში.</b> ზმნის გრამატიკული კატეგორიები გერმანიკულ ენებში. დრო, როგორც ზმნის წამყვანი კატეგორია გერმანიკულ ენებში. ძლიერი ზმნები. ძლიერი ზმნების შვიდი კლასი. აბლაუტი. აბლაუტის რიგები პირველი ექვსი კლასისათვის. მეშვიდე კლასი – რედუპლიცირებული ზმნები. ძლიერი ზმნების უღლება. სუსტი ზმნები. სუსტი ზმნების ძირითადი ფორმების მაწარმოებელი დენტალური სუფიქსის ეტიმოლოგიის საკითხისათვის. სუსტი ზმნების კლასები. სუსტი ზმნების უღლება. სუსტი ზმნები, როგორც გერმანიკული ინოვაცია. პრეტერიტო-პრეზენსული ზმნები. მათი ძირითადი ფორმები. ანომალიური, სუპლექტური ზმნები გერმანიკულ ენებში.	ელექტრონული სალექციო კურსი: ლექცია 7 <a href="http://www.margaliti.com">www.margaliti.com</a>
12, 13	<b>ლექცია /სემინარი – არსებითი სახელი გერმანიკულ ენებში.</b> არსებით სახელთა გრამატიკული კატეგორიები. არსებით სახელთა მორფოლოგიური კლასიფიკაცია. არსებით	ელექტრონული სალექციო კურსი: ლექცია 8 <a href="http://www.margaliti.com">www.margaliti.com</a>

	<p>სახელთა ძლიერი ბრუნება.          არსებით სახელთა სუსტი ბრუნება. სუსტი ბრუნების ფორმების მაწარმოებელი -n- სუფიქსის ეტიმოლოგია. სუსტი ბრუნება, როგორც გერმანიკული ინოვაცია. არსებით სახელთა ბრუნვის სხვა ტიპები გერმანიკულ ენებში</p>	
14	<p><b>ლექცია /სემინარი – ზედსართავი სახელების გრამატიკული კატეგორიები გერმანიკულ ენებში:</b>          ბრუნვა, სქესი, რიცხვი, განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობა, შედარების ხარისხები. ზედსართავ სახელთა ორგვარი ბრუნება – ძლიერი და სუსტი.          ზედსართავ სახელთა ძლიერი და სუსტი ბრუნების ფორმების მეშვეობით განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის გრამატიკული კატეგორიის გამოხატვა გერმანიკულ ენებში. ზედსართავ სახელთა ორგვარი ბრუნება როგორც გერმანიკული ინოვაცია. ზედსართავ სახელთა შედარებითი და აღმატებითი ხარისხების მაწარმოებელი სუფიქსები გერმანიკულ ენებში.</p>	<p>ელექტრონული სალექციო კურსი: ლექცია 9  <a href="http://www.margaliti.com">www.margaliti.com</a></p>
15	<p><b>ლექცია /სემინარი– ძველი გერმანიკული ენების ლექსიკის ზოგადი დახასიათება.</b>          მშობლიური და ნასესხები სიტყვები გერმანიკულ ენებში. მშობლიური სიტყვების ეტიმოლოგიური შრეების დახასიათება:          საერთო ინდოევროპული წარმოშობის სიტყვები გერმანიკულ ენებში. მათი თემატური ჯგუფები (ადამიანის, ცხოველების, მცენარეების, ყოფის, სოციალური ორგანიზაციისა და სხვ. აღმნიშვნელი ინდოევროპული სიტყვები);          საერთო გერმანიკული ლექსიკა. საერთო გერმანიკული ლექსიკის ძირითადი თემატური ჯგუფები.          ნასესხობა ძველ გერმანიკულ ენებში.</p>	<p>ელექტრონული სალექციო კურსი: ლექცია 10  <a href="http://www.margaliti.com">www.margaliti.com</a></p>